# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 97

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 7 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასიკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვე. მიიღებს.



ქუთაისი.

პაემზე დამყარებული ამხანაგობა

· კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა.

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პაროუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



## ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.



## შავი ქვის

### მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ ჭიათურის სამრეწველო საავათმყოფოში თავისუფალი ადგილია მოგზაური ექიმისა ათასხუთასი მან. ჯამაგირით და სამასი მ. ბინის ქირით. საჭიროა ექიმმა ქართული იცოდეს. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, განცხადება შეიტანოს ამა წლის 20 ივლისამდი ჭიათურის საბჭოში (ქუთაისში) საჭირო საბუთებით; დაწვრილებითი ცნობები კი შეუძლია გაიგოს ჭიათურის სამრეწ. საავათმყოფოს გამგე ექიმის სიმონ ჯაფარიძისაგან.



## დაიბეჭდა და იყიდება

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა № 22

### საქართველოს ისტორია

ს. ბარათაშვილისა—თარგმანი სილოვან ხუნდაძისა რვეული III.

...საუკუნ. ისტორია (არაბთა შემოსევიდან სელჩუკთა მფლობელობისგან გათავისუფლებამდი)

ფასი ორი აბაზი.

...მაღაზიებს, სამკითხველოებსა და სოფლის მასწავლებლებს ამხანაგობა უთმობს 20 პროცენტს, ათ ცალზე მეტის წამღებს კი 25 პროცენტს.

...რესი საწყობი და მისამართი: ბალის ქუჩა, სანიკიძის სახლი გიორგი სვანიძეს.



გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული

## გვირგვინი

შემდეგი შინაარსით:

1. შ. რუსთველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მიხ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, ბერძნ. ნათარგმნი ჰ. ქავთარაძისა.
4. მეფე მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი ერთი მან.



## გამოცდილი

**მასწავლებელი,** დაეძებს გაკვეთილებს (დაბალი კლასების მოწაფეებს, აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინართ). ძლიერ შეღავათიან პირობებში. მისამართი: Орпирская ул. Д. Щаламберидзе



## ტელეფონის საზოგადოებიდან.

ვისაც ტელეფონის მოწყობა სურს, განცხადება დროით შემოიტანოს, ვინაიდან მალე რემონტი უნდა დავიწყოთ და საშვალება არ გვექნება ტელეფონები დავდგათ.



საზღვარგარეთელი **სტუდენტი**

ამზადებს მოსწავლეთ გიმნაზიის ყველა კლასებისას შემდეგ საგნებში: ისტორიაში, რუსულში, გეოგრაფიაში—ქართულში. ასწავლის აგრეთვე გერმანულ (ნემეცურ) ენას ოტტო ზაუერის ახალ სისტემაზე. შეუძლია მსურველს ერთ რომელიმე აგარაკათ წაყვეს. მიმართეთ გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში ვ. ჭელიძეს.



ვღებულობ ყოველგვარ საკერავს

## თეთრეულს

ქალისა და კაცისას.

გეგუთის (ჭავჭავაძის) ქუჩა ჭანტურაიას სახლი № 23.

სოფიო ზვიადაძისა.



კბილის **ექიმი** ანა ბუტულოვის ასული გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

შინაგან სნეულებათა **ექიმი** **ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, წირალოვის სახლში.

**ექიმი** **ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვისსახლი.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.



## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.


## სავულისხმოთ.

შორს წავვიყვანდა, ყველა ის რომ ავნუსხოთ, რაც აკლია ჩვენს ქალაქს, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველი კეთილად განწყობილი ქალაქისთვის მოქალაქის საკეთილდღეოთ.

ბევრ რასმე მოკლებული ვართ, ცხადია, ჩვენი სიღარიბის გამო. რაკი თანხები არ გვიწყვია და გვეგულება, ლობე-ყორეს ვედებით, კონცესიები, იჯარები, ვაჭრობის გამოცხადება და მუშტრების ძებნა სხვადასხვა საქმის მოსაწყობათ და ხშირათ პირში ჩალა გამოვლებული ვრჩებით—ეს სულ ხელმოკლეობის ბრალია...

მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ქალაქის სალაროს სიღარიბესთან (თუ სიცარიელესთან არა) კავშირი არავითარი არ აქვს. აქ მხოლოდ და ერთადერთი იმის შეგნებაა საჭირო, რო ქალაქის ბატონ-პატრონები, თუ მამები მიხვდენ, რომ მათ სალალაო ღარიბისა, მაგრამ ლამაზი ქუთაისის კიდევ უფრო გალამაზებასა და და შნოს მიცემას ხელი შეუწყონ.

აი, რა გვაქვს სახეში.

რიონის კალაპოტი ქალაქის საკუთრებას შეადგენს. ამ მდინარის გასწვრივ ნაპირებს რო გახედოთ, მარჯვნით გინდა მარცხნით, თვალში გეჩხირებათ კალაპოტში უსწორ-მასწორათ ჩადგმული ზღუდე -კედლები—ზოგი ხუთ-ექვს საჟენზეა შესული კალაპოტში, ზოგი მეტათ, ზოგი ნაკლებათ... სრული ულამაზობაა.

განა არ შეიძლებოდა ერთი ხაზის, სისწორის დაცვა?—ეს სარგებლობასთან შნოსა და სილამაზესაც მისცემდა მდინარის ორსავე ნაპირს და აქიდან ქალაქის საერთო სახის სილამაზეც იქნებოდა.

ქალაქია მცხოვრებლებისათვის და მცხოვრებნი ქალაქისათვის. სხვაგან ასეთ ნაპირებს მდინარისა თუ ტბის, ზღვის (набережая) კიდეებზე თვით ქალაქი აშენებს, რომ მცხოვრებლებს სალი სასეირნო ადგილი მოუწყოს. აქ კი, ჩვენს პატრონებს სიტყვის მეტი არა დაეხარჯებოდათ რა და ეს სიტყვა მაინც არ უნდა დაიშურონ.

აქვე დროულია ერთი რამის გახსენებაც.

კარგა ხანია მას აქეთ, ლაპარაკი იყო, რომ ურიების უბანში ქალაქს შეუძლია მდ. რიონს მოსწყვიტოს შტო და საკმაოთ დიდი ადგილი დაირჩინოს პარკის-ბაღის გასაშენებლათ. ესეც დიდი საქმე იქნებოდა:—რიონი გაბინძურებისაგან დაცული იქნებოდა ამ უბანში და მცხოვრებლებს სულის მოსაბრუნებელი ადგილი შეეძინებოდა... თვარა მარტო ჩვენი „ბულვარდი“ არაფერი „გულვარდია“....

დ. მ.

## დღიური.

ხმა გავრცელდა, — ოსმალეთმა სერბიასთან ხელშეკრულობა დასდვაო.

— ფრაკიაში ბულგარელების მიერ დაპყრობილ ადგილებს ოსმალები იჭერენ.

— ცეტინიეში, ბელგრადსა და ათინაში რუსის ელჩმა მთავრობას წინადადება მისცა საომარი მოქმედება შეაჩერეთო.

— ოსმალეთის აფიცერი ფეხივბეი ბერძენთა ჯარში ჩაეწერა, რომ ბულგარლების წინააღმდეგ იბრძოლოს.

— ბულგარეთში სახალხო კრებაზე ოპოზიციამ მოითხოვა დანევის დეკლარაციის შესახებ მოსალაპარაკებლათ დახურული სხდომა მოეხდინათ, მაგრამ მთავრობამ ეს წინადადება უარყო.

— საბერძნეთის მეფემ ევროპის სახელმწიფოების წინაშე ბულგარეთს ძალმომრეობის გამო პროტესტი გაუცხადა.

— 2 ივლის სერეს—ნევროკოპის გზაზე ბრძოლა ბულგარლების სრული დამარცხებით დასრულდა.

— პაშიჩისა და ვენეზილოს ის აზრი დღევანდელ მდგომარეობაზე თანაბარია.

— დანევის გადადგომის გამო ბულგარეთში პარლამენტის სხდომები დაიხურა.

— რუმინიის მეფე ჯარის მთავარ ბანაკში წავიდა.

— საფრანგეთის მთავრობამ თავის ელჩს მიანდო მაკედონიაში წასვლა და ბულგარეთის ძალმომრეობას გამოკვლევა.

— რუმინიის ჯარმა სოფელ მაგურა აიღო და სოფიის რკინის გზა გადაჭრა.

— ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები ამოწმებენ, რომ ბულგარეთის ხალხი მეფე ფერდინანდს უკმაყოფილებას უცხადებს.

— გენერალი კუროპატკინი თავის ახლათ გამოცემულ წიგნში მონგოლეთის რუსეთთან შეერთების აუცილებელ საჭიროებას ამტკიცებს.

— პეტერბურგში სამართალში მიცემულ ესერებს:—გორბაგევს გადასახლება, მირონოვს 2 წ. და მარტოვს 1 წ. ციხე მიუსაჯეს.

## „აი, ისტორია!“

ევროპის პატარა ერების საშვალო საუკუნოების ისტორიას რო თვალი გადავავლოთ—ვნახავთ: გაბატონებულ ერებს დამონებული ერების ეროვნული სახის გასაქარწყლებლათ უმთავრესი იერიში „დე-

## წლიურ ხელისმომწერთა
# საყურადღებოთ!

ვისაც გაზეთის ფასათ პირველი ხვედრის მეტი არ შემოუტანია, მოვაგონებთ—ამ ორ დღეში შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

---

და-ენაზე“ მიუტანიათ ხოლმე; და თუ ერს თავისი ენა დაუკარგავს სახეც გაქრობია, გადაგვარებულა...

სწორეთ ამ პატარა ერების ბედ-იღბალს განიცდის დღეს ქართველი ერი.

ქართული ენა საქართველოს ყველა დაწესებულებიდან გაძევებულია; გადამთიელნი მას პირუტყვის ენას უწოდებენ, მხოლოთ სახალხო შკოლებში შერჩა მას ცოტა უფლება და ამ უფლების წართმევა-დაკარგვასაც ვესწრებით დღეს.

მე მოგახსენებთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექცია-ინსპექციასა და ადგილობრივი ქალაქის თვითმართველობის შორის ატეხილი ომის შესახებ, რომელიც უკანასკნელმა სასტიკათ წააგო. შედეგი-კი თვითმართველობის დამარცხებისა არის ის, რომ ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის სახალხო და ქალაქის შკოლებში ქართულმა ენამ ადგილი დაკარგა.

საქმის ვითარება ასეთია:

ადგილობრივ თვითმართველობას ოთხი პირველდაწყებითი შკოლა აქვს გახსნილი.

1908 წელს თვითმართველობის საშკოლო კომისიამ შეიმუშავა გაკვეთილების ნუსხა, სადაც სავსებით დაცულია „81 წლის სასწავლო პლანი“ და წარუდგინა დასამტკიცებლათ სახალხო შკოლების ინსპექტორს, რომელმაც ეს ნუსხა დაამტკიცა. ამ წლიდან დღემდი შკოლებში „81 წლის პლანი“ სავსებით დაცული იყო და მას არც დირექტორი, არც მზრუნველი არადროს არ შეცილებიან.

დაინიშნა დირექტორათ ბ. კრუპსკი და იგი თავისი ინსპექტორებით მედგრათ შეებრძოლა „81 წლის პლანს“. პირველი იერიში დირექციამ ქალაქის შკოლებზე მიიტანა, ვინაიდან ეს შკოლები ითვლება ჰანგის მიმცემათ სოფლის შკოლებისთვის.

5 ნოემბერს ცნობილმა ინსპექტორმა გროზდოვმა დაურიგა ქალაქის შკოლის გამგეებს გაკვეთილების განაწილების ნუსხა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგებოდა უმაღლესი მთავრობის მიერ გამოცემულსა და რამდენჯერმე დამტკიცებულს „81 წლის სასწავლო პლანს“ და მოითხოვა იმის მიხედვით თვითოეულ შკოლაში საკუთარი ნუსხის შედგენა. გამგეებმა შეუძლებლათ სცნეს ინსპექტორის უსამართლო განკარგულების შესრულება, უყურადღებოთ დატოვეს იგი და წინანდელი წლების მზგავსი ნუსხა წარუდგინეს დასამტკიცებლათ, რომელიც ინსპექტორმა მუქარით უკანვე დაუბრუნა და განმეორებით თავისი უკანონო მოთხოვნილების შესრულება მოსთხოვა. გამგეებმა მიმართეს ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანს ეშვამდგომლებია უმაღლესი მთავრობის წინაშე კანონიერების დაცვა და აღდგენა. ქალაქის მოურავმა მზრუნველს დეპეშით დირექციის უკანონო განკარგულების შეჩერება სთხოვა. სანამ ქალაქის საბჭო უმაღლეს მთავრობასთან საქმეს გამოარკვევდა და დირექციის უმართებულო განკარგულება მოიხსნებოდა, რამდენიმე გამგემ სამწუხაროთ, დაუფიქრებლათ, ნაჩქარევათ უკანონო მოთხოვნილება მიიღეს და ინსპექტორს წარუდგინეს ახალი ნუსხა, რომელიც ძირიანათ არღვევს „81 წლის პლანს“, ამ გამგეთა მოქმედება არ გაიზიარა ქალაქის პირველი შკოლის გამგემ ა. ოდიშარიამ, რომელსაც წილათ ხვდა გროზდოვის რისხვა. 16 იანვარს მან მიიღო შემდეგი მოწერილობა ბ-ნი გროზდოვისგან: „ბ-ნ დირექტორის ბძანებით, დათხოვნილი ხართ გამგის ადგილიდან, ვინაიდან არ შეასრულეთ თქვენი მთავრობის კანონიერი მოთხოვნილება. გაფრთხილებთ თუ თქვენ მასწავლებლობის დროსაც გასწევთ ასეთ ურჩობას—**გაძევებული იქნებით სამსახურიდან**“. ბ-ნ ოდიშარიასთან ერთად სამსახურიდან დაითხოვეს მასწავლებელი ლადო ნაცვლიშვილი, რომელმაც პრესის საშვალებით გაკიცხა ზემოხსენებული გამგეების საქციელი.

დირექციის ასეთი თვითნებობა ქალაქს ყოველ უფლებას ართმევდა: მას უნდა შეენახა შკოლები, ეძლია ხარჯი, ყავდა სპეციალური საშკოლო კომისია და გარევით არ უნდა გარეულიყო სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეში. ქალაქის საბჭომ იქონია ამაზე მსჯელობა და ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება გაუგზავნა გუბერნატორს მეფის მოადგილის წასადგენათ დირექციის უკანონო მოქმედების შესახებ. ამავე დროს ქალაქის მოურავი გაემგზავრა თფილისს და ოლქის მზრუნველს აუხსნა ყოველივე დაწვრილებით და სთხოვა „81 წ. პლანის“ ხელშეუხებლობა და უბრალოთ დასჯილი მასწავლებლების უკანვე დაბრუნება. მზრუნველი სავსებით დაეთანხმა ქალაქის მოურავის განმარტებას და ამ უკანასკნელმაც დეპეშით აცნობა თფილისიდან თვითმართველობას—გუბერნატორის კანცელარიიდან უკან წაეღოთ მეფის მოადგილისათვის გამზადებული მოხსენება; მზრუნველმა რომ ქალაქის მოურავს აღუთქვა დირექციის უკანონო მოქმედების მოხსნა, ამას ქვემო მოყვანილი გარემოებაც მოწმობს·

ს.-დ. ფრაქციამ სათათბიროში ამ საგანზე შეკითხვა შეიტანა. დეპუტატმა გელოვანმა ქალაქის მოურავს შეატყობია, რომ შეკითხვა იქნება განხილული 6 თებერვალსო. ამ დეპეშას ქალაქის მოურავმა შემდეგი პასუხი გასცა: ,,საჭიროა პრინციპიალურათ მხარი დაუჭიროთ შეკითხვას; ამავე დროს გააცხადოთ, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, საქმის ვითარების გაცნობას შემდეგ, პირადათ შემპირდა საქმის მშვიდობიანათ გათავებას და დათხოვნილი მასწავლებლების თავის ადგილზე დაბრუნებას''.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მზრუნველმა დირექციის მოქმედება უკანონოთ იცნო; ამას შემდეგ შკოლებში მუშაობა ჩვეულებრივათ წავიდა და მასწავლებლებიც ყველა თავის ადგილზე იყვნენ. გვეგონა, ომი თვითმართველობამ მოიგო და შკოლებს ,,81 წლის პლანი'' სამუდამოთ შერჩა, მაგრამ წარმოიდგინეთ თვითმართველობის განცვიფრება, როდესაც დირექცია ხელახლათ (რამდენიმე თვეს შემდეგ) მოითხოვს ბ. ბ. ოდიშარიასა და ნაცვლიშვილის დათხოვნას. ქალაქის მოურავმა მიმართა მზრუნველს და სთხოვა მის მიერ მოცემული სიტყვიერი პირობის შესრულება, მაგრამ მზრუნველმა დირექციის განკარგულება დაადასტურა და ოდიშარაი და ნაცვლიშვილი სამსახურიდან დაითხოვეს...

წერილის დასაწყისში ვსთქვი, რომ თვითმართველობის დამარცხებას ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის შკოლებიდან დედა-ენის გაძევება მოყვება-მეთქი, და აი, რატომ და როგორ.

ბ.ბ. ოდიშარია და ნაცვლიშვილი კანონიერათ მოიქცენ. ამათ სიმართლეს ქალაქის თვითმართველობა ხედავდა და კიდევაც მხარი დაუჭირა; მაგრამ კრუპსკიმ და გროზდოვმა მაინც თავისი გაიტანეს: ,,81 წლის პლანის'' მომხრე პირნი დამნაშავეთ იცნეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

და, ახლა მიბძანეთ, რომელი სოფლის მასწავლებელი, ვისი ბედით საკუთრათ ინსპექტორის ხელშია, გაბედავს ამის შემდეგ „81 წლის პლანის'' დაცვას და უკუღმართობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას? თუ თვითმართველობამ თავისი შკოლებისთვის ვერ შეინარჩუნა ეს პლანი და ამ პლანის მომხრე მასწავლებლები დაუთხოვეს სამსახურიდან, სოფლის შკოლებში რა იქნება? სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი ეკენისთვიდან ყველა ჩვენი შკოლებიდან თანდათან იქნება დედა-ენა გაძევებული.

თვითმართველობას ბრძოლა უმართებს! არ გვინდა ვირწმუნოთ, რომ იგი შეურიგდება ამ უსამართლო დამარცხებას და ხელს მოაწერს, ფარხმალს დაყრის მტკნარი უკანონობის წინაშე.

თვითმართველობამ უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რა მოყვება ამ მოვლენას. არ უნდა დაადასტუროს მან დედა-ენის ესოდენ სასტიკი დევნის საქმე...

უნდა იბრძოლოს!

გ. ა—ნი.

# ახალი ამბავი

ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლიდან 9 მასწავლებლის დათხოვნის ამბავი, რომელიც ამას წინათ მოვათავსეთ და მეორე დღეს შევასწორებიეს—ამ შესწორებას არ საჭიროებდა თურმე და სწორეთ 9 მასწავლებლები აღმოჩნდა დათხოვნილი. იურკევსკისა და თვალჭრელიძეს გარდა მაშასადამე შვიდიც კიდევ სხვა; ამათგან 6 ქალი: აქიმი ქალი ვერა მიქელაძისა, ელენე წულუკიძის, მარიამ წერეთლისა, ვერა სტუპინის, ელენე რომანუსის და ბარბალე შუმილოვსკის ასულნი და ბესარიონ მიქელაძე...

ამასთანვე მზრუნველი ავალებს წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეს მოლაპარაკება იქონიოს ადგილობრივი საშვალო სასწავლებლების გამგეებთან და სახალხო შკოლების დირექტორთან, რომ ამ დათხოვნილ მასწავლებლებს ადგილი მიუჩინონ მათ ხელქვეით არსებულ სასწავლებლებში და იმის მიზეზი კი, თუ რათ დაითხოვეს ესენი წმ. ნინოს სასწავლებლიდან, მზრუნველის ქაღალდიდან არა სჩანს.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში დილის 10 საათზე დანიშნულია მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის არჩევანი.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში თფილისის კომერციული ბანკის წარმომადგენელი ბანკის განყოფილებისათვის ბინას დაეძებს.

✦ ქ. ლოზანადან (შვეიცარია) შემდეგი ცნობა მოგვივიდა ბ. გ. ბალანჩივაძისაგან:

„მიმდინარე სამოსწავლო წლის ზაფხულის სემესტრის დასაწყისში ლოზანაში (შვეიცარია კანტონი „ვო“) დაარსდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო „**ივერია**“, რომელიც წესდების ძალით კისრულობს მიაწოდოს მსურველთ და განსაკუთრებით ქართველ ახალგაზდობას ყოველგვარი ცნობები ლოზანაში არსებულ გამანათლებელ დაწესებულებათა შესახებ.

ყოველგვარი შეკითხვა უნდა გამოიგზავნოს სათვისტომოს თავჯდომარის სტუდ. გ. ბალანჩივაძის სახელობაზე: M-me d' Balantchivadze Av. Ch. Secretau

გამგეობა სთხოვს დანარჩენ ქართულ ყოველდღიურ და კვირულ გამოცემათა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ცნობა.

გულწრფელს სალამს გიძღვნით გამგეობა „ივერიისა“.

✦ ხუთშაბათს 4 ივლისს თფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებამ განიხილა საქმე თფ. სასულიერო სემინარიის მოწაფეების: ანჯაფარიძის, ტყემალაძის, ცინცაძის, ი. საბაშვილის, სირაძის, მ. საბაშვილის, ჯინჭარაძის, მარგიანის, შარაძის, იაკობაშვილის, არონიშვილის და სხვათა რომელნიც 1910 წლის 6 თებერვალს აქეთ სალიტერატურო წრის დაარსებისთვის პასუხის გებაში იყვნენ მიცემული. ბრალდებულთ იცავდენ ნაფიცი ვექილები ყანჩელი, [illegible]რათაშვილი. და შალვა ალექსი—მესხიშვილი. სასამართლომ გარდა არველაძისა, სირაძისა, არონიშვილისა, [illegible] თვარაძისა, ნ. საბაშვილისა, [illegible] და ბოლქვაძისა, ყველა დამნაშავეთ ცნო და სისჯ. 1—ლ. 124 მუხლის ძალით ორი თვის ციხე მიუსაჯა, ხოლო ფესტის ძალით ყველა გაათავისუფლეს.

✦ გუშინ 6 ივლის რიჟინაშვილის კბილის საავათმყოფოს წინ ურემი ბრუნდა და მცირე წლოვანი ბავში მოიტანა. ბავში გარდაიცვალა.

✦ 20 ივლისს თელავში წ. კ. საზოგადოების იქაური განყოფილება [illegible] საღამოს მართავს.

✦ წელს შესრულდა აკადემიკოსის [illegible] მარის მოღვაწეობის 25 წელიწადი.

✦ გუშინდელ ცნობაში გამოგვრ[ჩა] მასწავლებელი ან. სულამანიძე, რომელიც ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის[ა] თა შორის მასწავლებლათ აირჩიეს.

✦ ზუგდიდის ორკლასიანი ქალ[ა]ქ[ის] სასწავლებელი გუდაუთში გადაუტანი[ათ]. ვინ უწყის, რა მოსაზრებით.

✦ ოზურგეთში საზოგადოების სამ[ეურნეო] თველოს საქმის მწარმოებელი ი. დ. [illegible] ყელი სამსახურიდან დაითხოვეს.

✦ კისლოვოდსკის კურორტზე 1 [illegible] ლისამდი 7091 მოაგარაკე მისულა.

## მოწერილი ამბავი.

**გუდაუთა** (აფხაზეთი) ივნისის შუა [რიც]ხვებში დ. გუდაუთში. ხელჩართ[ულ]ჩხუბის დროს დასჭრეს ვინმე გუნია. [გუ]ნიამაც არ დასტოვა თავის მოწინაღმდეგე უპასუხოთ... გუნიას დამჭრელი ხაზი იყო; ის დაიჭირეს, მაგრამ მ[ალე] გაათავისუფლეს. გათავისუფლებულმა ხაზმა შეკრიბა 50-ამდი აფხაზი და [გუ]ნიას მიუხტენ, როცა პოლიციელის ხლებით ეტლში იყო. კეტებით შეია[რაღე]ბულმა აფხაზებმა მოსთხოვეს პოლიციელს გუნია. პოლიციელმა უარი [უთ]ხრა და ხმალი ამოიღო. საქმეში ჩა[ერია] ფერშალი არდიშვილი და ამისმა გონი[ვრუ]ლმა სიტყვამ ყველა დააშოშმინა. ამ[ას] მოვიდენ პოლიციელებიც და აფხაზ[ები] გარეკეს. საქმე გამოძიებაშია, 17 ი[ვნისს] აქ ლ. ძიძისური მოკლეს. მკვლელ[ი ვერ] შეიპყრეს.

— **ს. საჩინო** (ქვემო იმერეთი) [სოფ]ელი ხარისხის პარკი აქ 17 მან. 10 [კაპ.] იყიდება, მეორე 15 მ. 4 აბაზ. ხო[ლო] მესამე კი 14 მან. 4 აბაზათ.

პარკს საზოგადო სასწორზე ინტ[ე]ლიგენტ პირთაგან შემდგარი კომი[სიის] წევრები სწონიან. ვაჭრები ამის გამო [უ]მაყოფილებას აცხადებენ.

— **ნახახულევის საზოგადოება** (ქვ[ემო] იმერეთი) ნახახულევის საზოგადოება [...]ნიდან ჩრდილოეთით სამი ვერსის ძილზე; საზოგადოებაში შემდეგი ს[ოფ]ლებია: თვით ნახახულევი, მათხოჯი, [...]ტუათი საწულიკიძეო და დედალო[...] სულ 1060 კომლი. საზოგადოებას [...]

---

# საკვირაო საუბარი.

ჩვენებური საზაფხულო არევ-დარევა და კლასიკური სწავლის ნაყოფი.

ძვირფასო მკითხველო! კვირაობით ხშირათ ვშორდებით ერთმანეთს, ხშირათ ვსწყვეტთ საუბარს, მაგრამ, მგონი, უამისობა არც შეიძლება, რადგანაც ხშირათ არც შენ გცალია, არც მე. მე წერას ვერ ვახერხებ, შენ კითხვა გაბეზრებს თავს. და ეს ორვეს იმიტომა გვჭირს, რომ ორივე საქართველოში ვცხოვრობთ და ნამდვილი ქართველები ვართ: ჩვენში ვერც მწერალი დაადგება სულ მწერლობას და ვერც მკითხველი დაუდებს გულს სისტემატიურს კითხვას, რადგანაც სხვა არსებითი საზრუნველიც ბევრი გვაქვს; მაგრამ ამაზე მერე და ახლა კი დღევანდელი საუბარი დავიწყოთ.

დადგება თუ არა მარტი, ქუთაისში ყველაფერი აირ-დაირევა. მოვიხდით თუ არა თოვლის სუდარს, რიონი აიმღვრევა და ტალახათ მდინარებას დაიწყებს; თუ მზემ თვალი ჰკიტა და ცას ღრუბელი მოშორდა, აღმოსავლეთის ქარი მოვარდება და ქუჩებზე ჯოჯოხეთის კორიანტელი დადგება: რაც უნდა მახლობელი ნაცნობი შეგხვდეს, ხმით თუ იცნობ, თვარა პირს ვერ დაუნახავ.

ხელმოკლე მცხოვრები წყალის საწმენდი შაბის ყიდვას ვერ აუდის და შეძლებულნი იმას გოდებენ, რომ ახალი კოსტიუმები მტვრით ევსებათ.

ხელმოკლეთა და მდიდართა სამწუხარო საგანი რა გასაერთიანებელია, მაგრამ ჩვენს ქალაქს რომ ოდესმე ისეთი იურისტები მოევლინოს, რომელნიც უბრალო ხელშეკრულების შედგენაში მოიჯარადრებმა ვერ მოატყუონ, და წყალსადენი რამე სასწაულით ქალაქმა მოაწყოს, ეგ საერთო ვაი და ვიში ცოტათი მაინც შემცირდება და ქალაქის მამები, წყევის ნაცვლათ, ქებასა და კურთხევას დაიმსახურებენ.

ცოტათი შეცთომა მომივიდა, რომ აქ „წყევა-კურთხევა“ წამომცთა: ეგებ სხვაგან აქვს გასავალი ან ერთს, ან მეორეს, ჩვენში არც ერთის ეშინია ვისმე, არც მეორეს ესწრაფის ჩვენებური მოქალაქე.

ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ყველაფერი აირევა-მეთქი. დიახ. გარეშე მკვდარი ბუნების არევას მოყვება, შინაც ცოცხალი ბუნების, ჩვენი საზოგადოების ჯგუფთა და დაწესებულებათა შინ და გარეთ მონასტერის არევა. ყველა დაწესებულებაში: ბანკებში, დეპუტატთა საკრებულოში, დრამატიულს საზოგადოებაში, წ. კ. საზოგადოების ქუთ. განყოფილებაში, ქალაქის გამგეობაში, კოოპერაც. საზოგადოებაში, უნივერსიტ. გამგეობასა და ქალთა საზოგადოებაში და ვინ ჩამოთვლის, რა და რა საზოგადოება ქუთაისში არ არსებობს—ყველგან მონასტერი აირევა და საშინელი გრიგალის თავზე დატეხის მოლოდინში ვართ ყოველს გაზაფხულზე; ამის შიშით ბევრს ციებ-ცხელების ზმორებაც აუტყდებათ ხოლმე. მაგრამ წელს არა ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა.

ყველგან კეთილგონიერმა კომპრომისმა იჩინა თავი და ამ კოპრომისებმა პატარ-პატარა თუ ზნეობრივი და თუ ნივთიერი სხვერპლიც მოიყოლია, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო მუდმივს ქიშპობას და უნაყოფო ბრძოლას ისევ კომპრომისები ამჯობინეს საშინჯათ მაინც. წელს ყოველს ჩვენს დაწესებულებაში შენდობა-შერიგების გზა იყო არჩეული.

მაგრამ მესამე გვარს არევდარევას, რომელსაც ჩვენში უმეტეს ნაწილათ სისხლის ამბოხება მოყვება ხოლმე, ასევე ადვილათ არ ჩაუვლია.

სისხლის ამბოხებას, მოგეხსენებათ, ყოველთვის თან ახლავს სქესობრივი სიყვარულის აღტყინება; აღტყინებული სიყვარული ხომ ყოველთვის ისეთს რომანს წარმოშობს, რომელიც ხშირათ ტრაგედიით თავდება. ზოგი თავს იკლავს, ზოგიც სხვის ზვარაკათ ხდება.

ასეთი უბედურება, სხვაგან რა მოგახსენო, და ჩვენში უთუოდ ყოველთვის მოსწავლე ახალგაზდობას უნდა დაატეხოს თავზე გარემოებამ.

ამ ზაფხულზე სამი სხვერპლი შესწირა ზვარაკათ ქუთაისის სასწავლებლებმა სიყვარულის ღმერთს, თუმცა მე არა მჯერა, რომ ამ ზვარაკების უბედურებაში მარტო სიყვარულს ედგას ფეხი, მაგრამ მათი მასწავლებლები ფიც ქვეშეც რომ დააყენო, მაინც ამ სამწუხარო ტრაგედიის რომანის მეტს არაფერს არ მიაწერენ.

ამასაც არა სჯერდებიან: ამბობენ, ახალგაზდას მემკვიდრეობით ჰქონდა შეშლილობის საფუარი სისხლში შედუღებული და საკვირველი არაა, თუ უმნიშვნელო ფეხის წატეხას ვერ გაუძლო და თვით მკვლელობა ჩაიდინაო.

საზოგადოება კი სულ სხვანაირათ სჯის, როცა მოწაფის თვითმკვლელობას გაიგონებს.

ეე! უბედური, უთუოდ ცუდათ სწავლობდა, მასწავლებელი ნაკლებ ნიშანს—ბალს უწერდა, უთუოდ იმავე კლასში სტოვებდენ, ან ამდენ აურაცხელი საგნების გაკვეთილებს ვერ მოერია, თავი უბედურათ წარმოიდგინა და თვითმკვლელობის განზრახვაც აქიდან არის წარმოშობილიო.

ვინაა მართალი: მასწავლებელი თუ საზოგადოების დასკვნა?

მასწავლებელის ფიცს დიახაც დავიჯერებდით, რომ სხვა შემთხვევაშიც, პედაგოგიური კითხვების გადაწყვეტის დროს, მაგალითად, როცა ახალთაობის აღსაზრდელის მასალის არჩევას და მეთოდების შერჩევას მიყოფენ ხელს, აი, მაშინ რომ მეცნიერებას მოიშველიებდენ, მემკვიდრეობითი კანონებში ჩაიხედავდენ და რასაც მეცნიერება გვირჩევს და ადასტურებს, იმას რომ ღებულობდენ სახელმძღვანელოთ, მაშინ, ვამბობ, კი ბატონო, დიდი სიამოვნებით მივიღებდით მათს ახსნას, მაგრამ ახლა, ჩვენ რომ მაგათი ამბავი ვიცით, ნუ ეწყინებათ, თუ ბავშების ყელის გამოჭრა არც რომანს ივაწეროთ და არც მემკვიდრეობითი „შეშლილობის საფუარს“.

ჩვენდა სამწუხაროთ, მასწავლებ[ლებს] ვერ დავუჯერებთ, რადგანაც ისინი [თა]ვის ნებაზე არაოდეს არ ყოფილა[ნ] [და] არც ახლა არიან; ნუ ეწყინებათ და სხვ[ი]სი ბძანების ყურმოჭრილი მონობის ფა[რ]გალს ვერ გასცილებიან ვერც თეო[რი]ულს აზროვნებაში, ვერც პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ საზო[გა]დოებას მივეკედლოთ, ისევ ხმა ღ[მრთი]სა და ხმა ერისაო, რომ იტყვიან, [ე]ეგება ამ ჭეშმარიტებამ გაგვინათოს ბუ[ნდოვანი] რუსიანი საკითხი.

სწორეთ ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი მო[სწავლე] სწავლე ახალგაზდობა თვითმკვლელობამ[დე] დი მიყავს უვარგის და მოუნელებელ სასწავლო მასალას, პროგრამის სივრ[ცეს], შეუფერებელი მეთოდის ხმარებას, [მო]სწავლებელთა თავისებურობის შეზღუდ[ვას], რიგიანი მასწავლებლის ინიციატ[ივის] დახშვას, დასხვასადასხვას, რის სავსებ[ით] აქ ჩამოთვლა სიტყვასაც გაგვიგძელე[ბდა] და მკითხველის ყურადღებასაც დაამძ[იმ]ებდა.

თვითმკვლელათ და მოკლულათ ჩვენ მიგვაჩნია არა მარტო ტყვიით თავ[...] გულ გახვრეტილი, წყალწაღებული [...] ბაწარზე ჩამოკიდებული, არამედ ყვ[ელა] ისინი, რომლისთვისაც შკოლას შემო[...] დებითი ძალღონე ვერ აღუძრავს და [...] მიუცია, რომელსაც მარტო სხვის [...] თქვამისა და ნაჩიჩინების დროებით და[...] პირების მექანიკა შეუთვისებია მხოლო[დ].

ამ უკუღმართ დრო'ს, რაც უნდა [...] ხელოვნებული მასწავლებელი იყოს,

...ცხენისწყლიდან სარწყავი არხები ...მოყვანილი.

...ტურულ დაწესებულებათა შორის ...ანო ადგილი ორკლასიან სამინი-... შკოლას უჭირავს. შკო-...დღეს 5 მასწავლებელია, სამა-...მოწაფე სწავლობს —ვაჟი და ქალი.

სოფ. **დვერგი** (ზემო იმერეთი) ...ც იქნა ველირსეთ შკოლის შენო-...ბას; მოწაფეთა რიცხვიც ბლომა-... მაგრამ მასწავლებლები ყოველდღე ... და ალიაქოთში არიან ეს გარე-...ძლიან აფიქრებს საზოგადოებას ...ობს, რომ განათლებული პირები ...ც მასწავლებლები ხალხისა და მო-...ის თვალში ასეთ ცუდ აზრს ნერ-...

... ამ თვეში აქ ამოვარდა, ქარი, ...ც სამხრეთიდან ქროდა. ეს ქარი ...თ ძლიერი იყო, რომ უზარმაზარი ... და მუხის ხეები ძირიანათ მოთ-... დაამხო, ბევრგან სახლებიც კი ... და სხვა ბევრი ზარალი მოყვა. ... არის აქეთ მომსწრე ასეთი სასტი-...ბის მოვლენისა და ისიც სამხრე-...

...ზესტაფონი, (ზემო იმერეთი). წ. კ. ...ოების ადგილობრივ განყოფი-... 7 ივლისისათვის არაჩვეულებრივი ... აქვს დანიშნული. იმსჯელებენ გა-...ი თეატრის შესახებ. თეატრის ...ისა და განახლებას შეუდგა ხსენე-... საზოგადოების განყოფილება, სა-... საზოგადოებამ მხურვალე დახმა-...ამოუჩინოს ამ საქმეში განყოფი-...

## ა მ რ ი კ ე.

...ყვა პროტესტი ალბათ (!) პრ იტეს-...ბის გამოგონილი უნდა იყოს. პირ... პროტესტანტები გაჩნდენ, მას ...პროტესტი. პატიოსანი პროტეს-...ს ხელში სიტყვა პროტესტსაც ყო-... პატიოსნური სახე და მნიშვნელო-...ბა, უეჭველი ფასი და ღირსება... ...ა ავსულის ხელში ხუნდება. ქურდი ...ის მკვლელიც პროტესტანტია, ... მიიმწყვდევენ და გასაქანი აჯა აღარ ..., მარა მისი პროტესტი — ეს უბრალო ...ლური ჟესტია, რომელსაც იგი ...ბრყვილო ხალხის საცთუნებლათ ... სულთა ბრძოლის დროს... ამა ... და ამისთანა პროტესტს დღე ...ილი აქვს... მიაკრავენ „ჟესტს" ... უნდა დიდი „ზასედანია—პრშჩაი, ...დანია!.."

...ში პროტესტის სხივი პირველ-...ასე გონიათ — იმ პროტესტანტებმა ...ანეს რომელთა "სხივი" ცხრაას-... მესამე ნუმერში სწერდა: „სამშა-... 6 დეკემბერს, მიტინგი ქონდათ თფი-...მეარდნეებს. მიტინგმა შემდეგი რეზო-... მიიღო: მივიღეთ რა მხედველობაში, ...ჩვენი აუტანელი მდგომარეობის გაუმ-...ჯობ დამოკიდებულია რუსეთის პროლე-ტარიატის გამარჯვებაზე, ჩვენ, თფილისის მეარდნენი, ვუერთდებით რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიას და მასთან ერთად მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით („სხივი" 1905 წ. № 3".

გავიდა დიდი ხანი. მას აქეთ განვითარების ნიშან წყალი არ დამჩნევიათ ჩვენებურ დასელებს, და მიიმწყვდევ თუ არა და ამხილებ სიცუდეს, არღანი მზათა აქვთ, მოიმარჯვებენ და ააჭყრიპინებენ საპროტესტოთ... რას უზამ, ჩვენს ხალხს მუსიკა უყვარს... არღნის ღრიალი მას გონია სიმფონია!.. ხოლო ეს რაც ფონია—გასავალს!.. დიახ ჩვენს ხალხს მუსიკა უყვარს და ესმის კიდეც:—მალე გაარჩევს არღნის ჭრიალსა და ტკბილ-ხმოვან ჰანგს ერთმანეთისაგან. არჩევს კიდეც... უკუდო პროტესტები კი—მგელმა შეჭამოს.

**კვირავე.**

## მეპურეთა თავხედობა.

